



4156/3-2/21 2 06052021

4156/3-2/21

06-05-2021

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს არაერთი მოქალაქე აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს უკანონოდ ჰყავთ დაკავებული. 4 მაისს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დეპუტატები შევხვდით ზაზა გახელაძის ოჯახს, რომელიც უკვე მეთექვსმეტე უშედეგოდ ელის ზაზას გათავისუფლებას.

საქართველოს პარლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:

ა) განიხილეთ თუ არა მიმდინარე წელს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოზე ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, მცოცავი ოკუპაციის და ჩვენი მოქალაქეების გატაცების და უკანონო პატიმრობის საკითხები?


ბ) განხილულ იქნა თუ არა ზაზა გახელაძის დაკავების საკითხი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ბატონ ზურაბ აბაშიძის მიერ ბატონ გრიგორი კარასინთან შექმნილ სპეციალურ ფორმატში და თუ არ იგეგმება თუ არა ამ საკითხის განხილვა?

გ) იყენებთ თუ არა არაფორმალურ კავშირებს წინა ამდაგვარი შემთხვევების გამოცდილებით უკანონო პატიმრობაში მყოფი ზაზა გახელაძის და ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად.

დ) ჩვენი პარტნიორი ქვეყნის ლიდერებთან განახორციელეთ თუ არა უშუალო კომუნიკაცია ჩვენი მოქალაქეების უკანონო პატიმრობასთან და მათი გათავისუფლების მიზნით შესაბამის მხარდაჭერასთან დაკავშირებით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია





4152/3-2/21 2 06052021

4152/3-2/21

06-05-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს,

ბატონ დავით ზალკალიანს

როგორც მოგესვენებათ, საქართველოს არაერთი მოქალაქე აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს უკანონოდ ჰყავთ დაკავებული საპატიმროებში. 4 მაისს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შევხვდით ზაზა გახელაძის ოჯახს, რომელიც უკვე მეათე თვეა ელის მის გათავისუფლებას.

საქართველოს პარლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:

ა) მიმდინარე წელს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან რა აქტივობა გასწია თქვენმა უწყებამ აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების საპატიმროებში უკანონოდ დაკავებული ჩვენი მოქალაქეების გასათავისუფლებლად.

ბ) ქენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში 52-ე რაუნდზე ზაზა გახელაძის და ირაკლი ბებუას დაკავების საკითხის განხილვისა და მისი შედეგების, ისევე როგორც ივნისში დაგემილ მორიგ რაუნდამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.


გ) სოფელ ხურვალეთში ამაწლის 7 მარტს შსს-მ დროებით დააკავა რუსეთის საოკუპაციო ძალების ორი შეიარაღებული პირი, რომელიც ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სოფლის მაცხოვრებელს დაედევნა. გარდა ცხელი ხაზის გააქტიურებისა სხვა რა ძალისხმევა განხორციელდა აღნიშნული შემოჭრის შესახებ პარტნიორების ინფორმირების და შესაბამისი რეაგირების მიზნით? თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით რა იყო ამ პირების დაუყოვნებლივი გათავისუფლების საფუძველი?

დ) რამდენადაც ჩემთვის არის ზაზა გახელაძის ოჯახიდან ცნობილი წითელი ჯვრის კომიტეტი ოჯახს ეხმარება ზაზასთვის ამანათის და მასთან პაემნის უზრუნველყოფის საკითხში. თუმცა ამ შესაძლებლობის გამოყენება მხოლოდ სამ თვეში ერთხელ არის ნებადართული. ვინაიდან ზაზა გახელაძეს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში არ ყავს

ოჯახი, მუშაობთ თუარა პაემნების სამთვინი ვადის შემცირებაზე აღნიშნულ
ორგანიზაციასთან?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია





4153/3-2/21
06-05-2021

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს

ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს არაერთი მოქალაქე აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს უკანონოდ ჰყავთ დაკავებული საპატიმროებში. 4 მაისს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შევხვდით ზაზა გახელაძის ოჯახს, რომელიც უკვე მეათე თვეა უშედეგოდ ელის მის გათავისუფლებას.

საქართველოს პარლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:

ა) მიმდინარე წელს დღეის მდგომარებით ჩვენს რამდენ მოქალაქეს აქვს უკანონო პატიმრობა მისჯილი ოკუპირებულ რეგიონებში?

ბ) რა აქტივობა გასწია თქვენმა უწყებამ აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების საპატიმროებში უკანონოდ დაკავებული ჩვენი მოქალაქეების გასათავისუფლებლად, მათ შორის ირაკლი ბებუას და ზაზა გახელაძესთან დაკავშირებით, რომელთაც საოკუპაციო რეჟიმებმა განსაკუთრებულად მკაცრი სასჯელის ზომა მიუსაჯა.

გ) მომაწოდოთ ინფორმაცია ერგნეთში ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ზაზა გახელაძის დაკავების საკითხის განხილვისა და მისი შედეგების, ისევე როგორ ივნისში დაგემილ მორიგ შეხვედრამდე ე გაწეული საქმიანობის შესახებ.

დ) სოფელ ხურვალეთში ამა წლის 7 მარტს შსს-მ დროებით დააკავა რუსეთის საოკუპაციო ძალების ორი შეიარაღებული პირი, რომელიც ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სოფლის მაცხოვრებელს დაედევნა. გარდა ცხელი ხაზის გააქტიურებისა სხვა რა

ძალისხმევა განხორციელდა აღნიშნული შემოჭრის შესახებ პარტნიორების ინფორმირების და შესაბამისი რეაგირების მიზნით? თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით რა იყო ამ პირების დაუყოვნებლივი გათავისუფლების საფუძველი? შესაძლებელი იყო თუ არა ამ პირების გაცვლის საკითხის დაყენება ზაზა გახელაძეში, როგორც ამას ოჯახი ფიქრობს.

ე) იყენებთ თუ არა არაფორმალურ კავშირებს წინა ამდაგვარი შემთხვევების გამოცდილებით ზაზა გახელაძის და ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

